დანართი

2023 წელს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და მეთოდების განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს 2023 წელს, აპლიკანტთა შეფასების ეტაპებზე და მეთოდებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამები) :
   ა) სარესტორნო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (IV დონე);
   ბ) კულინარიის ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამა (III დონე);
   გ) ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (IV დონე);
   დ) საავტომობილო გზების მშენებლობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (III დონე);
   ე) მეფუტკრეობა.
2. შეფასების საფუძველზე გამოვლინდებიან აპლიკანტები, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება.

მუხლი 2. შეფასებაში მონაწილეობის წინაპირობა

1. მე-3 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროგრამა(ებ)ზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. მე-4 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროგრამა(ებ)ზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 3. აპლიკანტთა შეფასების ფორმა

1. აპლიკანტთა შეფასების ფორმაა - მოტივაციური გასაუბრება (კომისიის წევრ დამსაქმებლებთან). გასაუბრების ფარგლებში მოწმდება აპლიკანტის პროფესიასთან დაკავშირებული წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება.

2. შეფასების პროცესს უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია;
3. შეფასების პროცესი ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ გარემოში.

მუხლი 4. შერჩევის კომისია

1. შერჩევის კომისიის შემადგენლობა დამოკიდებულია შეფასების წელს სტუდენტების მიღების მსურველი პროგრამის თანაგანმახორციელებელი საწარმოს ოდენობაზე.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მდივანი;
3. შეფასების კომისია დაკომპლექტდება:

ა) პარტნიორი ორგანიზაციების/დამსაქმებლების წარმომადგენლებისაგან;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებისაგან;

4. აპლიკანტი შეფასება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.
5. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25%-ს. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს შესაბამის საგანმანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას;
6. აპლიკანტს აფასებენ წევრი დამსაქმებლები/პროგრამის თანაგანმახორციელებელი საწარმოები;
7. მოტივაციური გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია №1 დანართის სახით;
8. მოტივაციური გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების კოეფიციენტები და შეწონილი ქულები განისაზღვრება თანახმად №2 დანართისა;
9. შერჩევის კომისია, შეფასების შედეგების საფუძველზე, გამოავლენს აპლიკანტებს, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვა საკონკურსო უპირატესობა თითოეული კომპანიის კვოტის ფარგლებში;
10. ოქმში აისახება საკონკურსო უპირატესობაში მყოფი აპლიკანტების (გამოცხადებული ადგილების მიხედვით) ის ქულა რომლის ფარგლებშიც მას კონკრეტულმა კომპანიამ მიანიჭა საკონკურსო უპირატესობა. სხვა კონკურსანტების შეფასება დაანგარიშდება ყველა შემფასებლის შედეგების საშუალო არითმეტიკული მიხედვით;
11. კომისიის მდივნის მიერ გასაუბრების შედეგები აისახება ოქმში;

მუხლი 5. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება - მოვალეობები

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესს/შეფასების კრიტერიუმებს;
2. აპლიკანტი უფლებამოსილია ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას პარტნიორების თაობაზე;
3. აპლიკანტი უფლებამოსილია რანჟირების დოკუმენტის შევსების დროს ჩამოწეროს მხოლოდ ის კომპანია/კომპანიები სადაც სურს სწავლა/მუშაობა;
4. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევის პროცესზე არ დაიშვება.

მუხლი 6. პარტნიორებთან აპლიკანტთა გადანაწილების წესი

1. აპლიკანტთა გადანაწილება კომპანიებში ხორციელდება კომპანიების მიერ აპლიკანტების ინდივიდუალური შეფასებების გათვალისწინებით, მათ მიერ შერჩევის პერიოდისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში;
2. შეფასების ქულების საფუძველზე კომპანია ახორციელებს შერჩევაში მონაწილე აპლიკანტებისათვის სარეიტინგო ნომრის მინიჭებას;
3. თუკი ერთ და იმავე აპლიკანტს რამდენიმე პარტნიორთან აქვს თანაბარქულიანი საკონკურსო უპირატესობა გადაწყვეტილებას ღებულობს აპლიკანტი. გადაწყვეტილება ეფუძნება შეფასების პროცესის დაწყებამდე აპლიკანტის მიერ წინასწარ შევსებულ კომპანიათა შერჩევის რანჟირების დოკუმენტს (დანართი №3), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2023 წელს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და მეთოდების განსაზღვრის წესის

დანართი №1

აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები

აპლიკანტის სახელი და გვარი: _____

1. დუალურ პროგრამაზე სწავლის მოტივაცია და მზაობა						
აპლიკანტს გაცნობიერებული და ინფორმირებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული დუალურ პროგრამაზე ჩაბარებასთან დაკავშირებით: ის საფუძვლიან ინფორმაციას ფლობს დუალური პროგრამების სპეციფიკასთან დაკავშირებით და იცის, რითი განსხვავდება დუალური პროგრამა, სხვა ტიპის პროგრამებისგან. ამასთან, აპლიკანტმა იცის დუალურ პროგრამებზე სამუშაო დატვირთვის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გადანაწილდეს პრაქტიკული და თეორიული სწავლების დღეები და აცნობიერებს ორივე კომპონენტის საჭიროებას. ამასთან, აპლიკანტს აქვს მკაფიო გეგმა, თუ როგორ უნდა შეუთავსოს პირადი საქმეები, თეორიული და პრაქტიკული სწავლება ერთმანეთს და ადასტურებს პროგრამაზე სწავლების მზაობას.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას დუალური პროგრამის შესახებ და მისი გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩაბარებასთან დაკავშირებით გაუცნობიერები და არაინფორმირებულია. აპლიკანტი ვერ ხვდება, რა განსხვავებაა დუალურ და სხვა ტიპის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შორის. არ იცის, რომ პროგრამის ფარგლებში მოუწევს მუშაობა პარტნიორ ორგანიზაციაში და არ არის მზად ერთმანეთს შეუთავსოს პირადი საქმეები, თეორული და პრაქტიკული სწავლება. აპლიკანტი ვერ ადასტურებს მზაობას, გაუმკლავდეს დუალური პროგრამების დატვირთვას.
2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
აპლიკანტი ავლენს ცნობისმოყვარეობას პროფესიის მიმართ: ეცნობა სხვადასხვა ლიტერატურას პროფესიის შესახებ, უყურებს პროფესიასთან დაკავშირებულ ვიდეოებს, ეცნობა სხვადასხვა პროფესიულ წყაროებს, ავლენდა მაღალ ინტერესს პროფესიასთან დაკავშირებულ სასკოლო საგნებზე.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს და ცნობისმოყვარეობას პროფესიის მიმართ. ის არ ინტერესდება გაეცნოს პროფესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წყაროებს, ლიტერატურად, ვიდეოებს და ა.შ. ბუნდოვანია, რაში ვლინდება აპლიკანტის ცნობისმოყვარეობა და დაინტერესება.

3. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
4. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება						
აპლიკანტი ავლენს ინტერესს პროფესიის მიმართ და აღნიშნული ინტერესის დასაკმაყოფილებლად შეუსრულებია ფორმალურ თუ არაფორმალურ სიტუაციაში პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები (სახლში, ახლობლებთან და ა.შ.). ამასთან, აპლიკანტი დაინტერესებულია იმ სამუშაო აღჭურვილობების მიმართ, რომელსაც იყენებენ ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანები და გამოუყენებია ისინი სხვადასხვა სამუშაო სიტუაციაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიის მიმართ და არასდროს ჰქონია სურვილი თუ მცდელობა, თუნდაც სახლში, შეესრულებინა პროფესიისთვის დამახასიათებელი მარტივი სამუშაოები. აპლიკანტი ასევე არ დაინტერესებულა/არ იცის, რა სამუშაო-იარაღებს/აღჭურვილობებს იყენებენ ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანები და არასდროს უცდია მათი გამოყენება თუნდაც ჰობის დონეზე.
5. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები						
კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის ღირებულებები და თვისებები პროფესიასთან თავსებადია. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს ნაფიქრი საკუთარი მახასიათებლების პროფესიასთან შესაბამისობაზე; ინტერვიუს განმავლობაში არ გამოუვლენია პროფესიასთან თავსებადი ღირებულებები; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.
6. პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები						
აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.
7. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები						

ინტერვიუს განმავლობაში აპლიკანტი ავლენს კარგ საკომუნიკაციო უნარებს; მისი საუბრის მანერა არის მკაფიო და დამაჯერებელი; საუბრობს გასაგებად და ამომწურავად აყალიბებს თავის სათქმელს; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ლოგიკური, თანმიმდევრული და კონტექსტს მორგებული. მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, ახერხებს ჟესტიკულაციით, ემოციებითა ან/და წერილობითი ფორმით მოსაუბრესთან კონტაქტს და სათქმელის გადმოცემას – მისი სხეულის ენა ადეკვატურია. კანდიდატი ყურადღებით უსმენს კომისიის წევრებს, ადეკვატურად რეაგირებს კითხვებზე, უთმობს დროს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებას; უსვამს მათ დამაზუსტებელ კითხვებს საკითხში უკეთ გასარკვევად და არ აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; იქცევა თავაზიანად.	4	3	2	1	0	კანდიდატს უჭირს სათქმელის ჩამოყალიბება; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ალოგიკური და დაბნეული, აცდენილია კონტექსტს. მეტყველებასთან დაკავშირებული შეფერხებების შემთხვევაში, ის ვერც ემოციურად, ვერც ჟესტიკულაციითა და ვერც წერილობით ვერ ახერხებს საკუთარი სათქმელის მსმენელისთვის გადაცემას; არ ამყარებს თვალებით კონტაქტს, სხეულის ენა არადამაკმაყოფილებელია. კანდიდატი არ უსმენს კომისიის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. არის ჩუმად, უსვამს მათ არაადეკვატურ კითხვებს ან აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; მისალმება-დამშვიდობების დროს არ იჩენს თავაზიანობას.
8. ორგანიზაციასთან თავსებადობა						
კანდიდატის მიერ გასაუბრებაზე გამოვლენილი პიროვნული თვისებები, დამოკიდებულებები და ღირებულებები სრულიად შეესაბამება ორგანიზაციის მოთხოვნებსა და ორგანიზაციულ კულტურას. დუალური პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ სურს აპლიკანტი ჩართოს პრაქტიკული სწავლების პროცესში საკუთარ ორგანიზაციაში.	4	3	2	1	0	კანდიდატის მიერ გასაუბრებაზე გამოვლენილი თვისებები, დამოკიდებულებები და ღირებულებები სრულიად შეუსაბამოა ორგანიზაციის მოთხოვნებსა და ორგანიზაციულ კულტურასთან. დუალური პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი უაზრს ამბობს, აპლიკანტმა პრაქტიკული სწავლება გაიაროს ორგანიზაციის ბაზაზე. **აპლიკანტი არ გაინიხილება აღნიშნულ ორგანიზაციაში.**

კომისიის წევრი:

_____ _____

სახელი, გვარი ხელმოწერა

2023 წელს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და მეთოდების განსაზღვრის წესის

დანართი N2

	აპლიკანტთა სია	1. დუალურ პროგრამაზე სწავლის მოტივაცია და მზაობა	2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა	3. ინფორმაცია პროფესიის შესახებ	4. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება	5. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები	6. პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები	7. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	8. ორგანიზაციასთან თავსებადობა
1		4	4	4	4	4	4	4	4
2									
3									
4									
5									
	საშუალო ქულა:	4,0	4,0	4,0	4,0	4,0	4,0	4,0	4,0
	შეწონილი ქულა:	12,0	4,0	8,0	4,0	4,0	8,0	4,0	12,0
	ჯამური ქულა:	56,0							
	პროცენტული წილი:	100,0%							

აპლიკანტის შეფასება: 100,0 ქულა

კომისიის წევრის სახელი, გვარი, ხელმოწერა _____ _____ _____

შეფასების თარიღი: